

მე-9 კლასი

I. ენის სამყარო

1. შეარჩიეთ მართებული ფორმა:

ბავშვი სიცილით გამოიქცა ...

ა. ჩემკენ; ბ. ჩემსკენ; გ. ჩემისკენ; დ. ჩემსკენა

2. განსაზღვრეთ, რა არის წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა:

კარგი გოგონაა ნატალია, გონიერი.

ა. ჩართული; ბ. დანართი; გ. განკერძოებული განსაზღვრება; დ. განკერძოებული გარემოება

3. ჩასვით „სტუმარი“ შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

... , რომელიც გუშინ უნდა ჩამობრძანებულიყო, თვითმფრინავზე დააგვიანდა და მხოლოდ დღეს ჩამოფრინდა.

ა. სტუმარმა; ბ. სტუმარს; გ. სტუმარი; დ. სტუმარო

II. ტექსტის რედაქტირება

4. მოცემული 5 წინადადებადან რომელ სამ მათგანშია დაშვებული სინტაქსური შეცდომები?

1. მიყვარს მთაწმინდიდან დანახული ღამის თბილისი, რაც ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს.
2. გეგონებათ ზეცა ჩამოვიდა, ამოტრიალდა და თქვენ ზემოდან დასცქერით.
3. ყველა ნაცნობი ვარსკვლავები და თანავარსკვლავები აქ არის.
4. მთაწმინდა კოსმოსში მოცურავე დედამიწას ჰგავს, იმისთვის, რომ დაბლაც ზეცაა და მაღლაც.
5. თქვენ კი პატარა დედამიწაზე დგახართ.

ა. 2, 3, 4; ბ. 3, 4, 5; გ. 1, 3, 4; დ. 1, 2, 5

III. სიტყვაკაზმული ქართული

5. განმარტეთ სიტყვათა მყარი შეხამება „ხელები დაიბანა“:

ა. მაგალითი მისცა; ბ. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა;
გ. პასუხისმგებლობა მოიხსნა; დ. პასუხისმგებლობა გაიზიარა.

6. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული: „წარბშეკრული და გულდახურული ბიჭი იყო ბეჟანი“

ა. შედარება; ბ. გამეორება; გ. ეპითეტი; დ. მეტაფორა.

7. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!“

ა. რიტორიკული შემახილი; ბ. რიტორიკული მიმართვა; გ. რიტორიკული შეკითხვა; დ. გაპიროვნება

IV. ლექსიკა

8. რომელ წინადადებაში გამოიყენება ანტონიმები?

- ა. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“;
- ბ. „სიხარბე და ბოროტება ადამიანს აბრმავებს“;
- გ. „კარგისთვის კარგი ვის უქმნია?“
- დ. „აქედანა და შენამდე ვარდი მასხია ყელამდე“.

9. რომელი წყვილი არ არის სინონიმური?

ა. მთარგმნელი - თარჯიმანი; ბ. საუკუნე - ასწლეული; გ. სინჯი - სინჯარა; დ. ბელტი - კოლბოხი

V. წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხე „ავთანდილის ანდერძი“ (ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნიდან“) და უპასუხე შეკითხვებს:

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმოხ ამა ჩემსა განზრახულსა.
 კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
 მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
 "სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".

რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
 მე რად გავწირო მოყვარე, ძმა, უმტკიცესი ძმობისა?!
 არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!
 მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
 ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
 "სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეყვანნი, ამას ჟღერენ,
 შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

ვინ დამბადა, შეძლებაა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
 ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
 ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
 იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.
 მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების,
 თვალთა ტურფა საჭვრეტელი ყველა რამე ეშვდინების;
 მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

რაზომცა სწყრები, შემინდევე შეცვლა თქვენისა მცნებისა.
 ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა;
 აწ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა,
 სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!

არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა;

არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუთუ წასლვამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?
ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა სამაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვკგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატინსა!
ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა!

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭელსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენდა კადრებად ამისად:
სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად.

10. რომელი ფილოსოფოსის სიტყვებს იმოწმებს ავთანდილი ციტატით:

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“?

ა. როსტევენი ბ. ტარიელი გ. სოკრატე დ. პლატონი

11. რა მიაჩნია ავთანდილს ყოველგვარი უბედურების სათავედ?

ა. სიხარბე; ბ. სიზარმაცე; გ. სიცრუე; დ. სიძვა

12. ვის იმოწმებს ავთანდილი იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ სიყვარული სულიერად ამაღლებს ადამიანს?

ა. დიონისე არეოპაგელს; ბ. მოციქულებს; გ. პლატონს; დ. სოკრატეს

13. ვის ან რის შესახებ ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ავთანდილი ანდერძში:

„მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად“?

ა. სიყვარულის ბ. მზის გ. სიკვდილის დ. ღვთის

14. რა იყო ავთანდილის წამალი?

ა. ტარიელთან წასვლა; ბ. არაბეთში დარჩენა; გ. თინათინზე ქორწინება; დ. თავის ციხესიმაგრეში დაბრუნება.

15. როგორ კაცს გმობს ავთანდილი ანდერძში?

ა. ამასა და პატივმოყვარეს; ბ. უვიცსა და უმეცარს; გ. ბოროტსა და ღვარძლიანს; დ. ცრუსა და მოღალატეს.

16. ავთანდილის თქმით, რა არის ყოველგვარი მატერიალური სიმდიდრის შეძენაზე ფასეული?

ა. სიყვარულის მოხვეჭა; ბ. მეფის მოწყალების მიღება; გ. სახელის მოხვეჭა; დ. ნდობის მოპოვება

17. რისთვის არის აუცილებელი, რომ ავთანდილმა ტარიელისთვის მიცემული პირობა შეასრულოს?

ა. რომ თინათინის წინაშე პირნათელი იყოს; ბ. რომ საუკუნო სამყოფელში პირნათლად შეხვდეს მას (ტარიელს); გ. რომ როსტევეანისთვის ერთგულების ნიმუშად იქცეს; დ. რომ შერმადინს ერთგულების მაგალითი მისცეს